

ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ბალანსზე
რიცხული არასაცხოვრებელი ფართის იჯარის ფორმით გადაცემის შესახებ

დაბა ჩაქვი,

--- ივნისი, 2016 წელი

1. ხელშეკრულების მხარეები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის 2016 წლის --- ივნისის №--- ბრძანებისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის სააუქციონო კომისიის 2016 წლის --- ივნისის გადაწყვეტილების (ოქმი №---) შესაბამისად, 2016 წლის პირობებიანი ელექტრონული აუქციონის (აუქციონის №-----, ლოტის №-----) შედეგების გათვალისწინებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო, წარმოდგენილი ----- სახით (შემდგომში – „მეიჯარე“), ერთი მხრივ და ----- (შემდგომში – „მოიჯარე“), პირადი №----- მეორე მხრივ, გაფორმებთ არასაცხოვრებელი ფართის იჯარის ფორმით სარგებლობაში გადაცემის ხელშეკრულებას (შემდგომში – ხელშეკრულება), რომლითაც განსაზღვრულია მხარეთა უფლებები და ვალდებულებები.

2. ხელშეკრულების სამართლებრივი საფუძვლები

ხელშეკრულების სამართლებრივ საფუძვლებს წარმოადგენს: საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი.

3. ხელშეკრულების საგანი

3.1. „მეიჯარე“ გადასცემს, ხოლო „მოიჯარე“ იჯარის ფორმით დროებით სარგებლობაში იღებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სარგებლობაში არსებულ, ქობულეთის მუნიციპალიტეტის დაბა ჩაქვში, მეგენიშვილი ქუჩა №25-ში მდებარე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ბალანსზე რიცხული ადმინისტრაციული შენობის პირველ სართულზე არსებული ფართიდან (საკადასტრო კოდი №20.48.05.095) 76,51 კვ.მ. არასაცხოვრებელ ფართს (შემდგომში – საიჯარო ქონება) უმაღლესი საბჭოს თანამშრომლებისათვის კვების ბლოკის მოწყობის მიზნით.

3.2. საიჯარო ქონების გადაცემა განხორციელდება მიღება – ჩაბარების აქტის საფუძველზე, რომელიც წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

4. იჯარის ქირის ღირებულება და გადახდის წესი

4.1. წლიური საიჯარო ქირა შეადგენს ----- (-----) ლარს.

4.2. „მოიჯარე“ ვალდებულია გადაიხადოს ქონების საიჯარო ქირა ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთი წლის განმავლობაში, ყოველკვარტალურად – ყოველ 3 (სამი) თვეში, თანაბარწილად, მომდევნო თვის 10 რიცხვამდე, წინამდებარე ხელშეკრულების დანართის შესაბამისად, შემდეგ ანგარიშზე: შემოსავლების ანგარიში (ცენტრალიზებული შემოსავლების) 200122900, მიმღები ბანკი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური, ბანკის კოდი თღ შ 22, სახაზინო კოდი: 300713211.

4.3. წლიური საიჯარო ქირის თანხაში გათვალისწინებული იქნება „მოიჯარის“ მიერ ბეს სახით გადახდილი ----- (-----) ლარი, რაც ასახულია ხელშეკრულების დანართში (დანართი №1).

4.4. „მოიჯარე“ 4.2. პუნქტით გათვალისწინებული ანგარიშსწორების განხორციელების შემდეგ, ვალდებულია გადახდიდან 5 დღის ვადაში წარუდგინოს „მეიჯარეს“ საიჯარო თანხის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტები.

4.5. წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში ელექტროენერგიის, კომუნალური და საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული გადასახადების გადახდას უზრუნველყოფს „მოიჯარე“.

4.6. წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებიდან ნებისმიერ დროს, ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით, შესაძლებელია საიჯარო ქირა მომატებულ იქნას მეიჯარის მოთხოვნით. საიჯარო ქირის მომატების მოთხოვნის საფუძველი უნდა იყოს დამოუკიდებელი აუდიტორის (ექსპერტის) დასკვნა.

5. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

5.1. წინამდებარე ხელშეკრულების 3.1. პუნქტში მითითებული ქონების იჯარის ფორმით დროებით სარგებლობაში გადაცემის პირობა ძალაშია მხარეთა მიერ ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 1 (ერთი) წლის ვადით.

5.2. წინამდებარე ხელშეკრულების სხვა პირობები ძალაშია მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებამდე.

6. მხარეთა უფლებები და მოვალეობები

6.1. „მეიჯარე“ ვალდებულია:

- ა) გადასცეს „მოიჯარეს“ უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საიჯარო ქონება;
- ბ) ერთი თვით ადრე წერილობით აცნობოს მოიჯარეს საიჯარო ქირის მატყბის შესახებ;
- გ) დაიცვას წინამდებარე ხელშეკრულების პირობები.

6.2. „მოიჯარეს“ უფლება აქვს:

- ა) დაათვალიეროს იჯარით გაცემული ქონება;
- ბ) განახორციელოს მოიჯარის მიერ აღებული ვალდებულებების ინსპექტირება-მონიტორინგი;
- გ) მოითხოვოს საიჯარო ხელშეკრულების შეწყვეტა, თუკი:
 - მოიჯარე დაარღვევს ხელშეკრულების პირობებს;
 - მოიჯარე განზრახ ან გაუფრთხილებლობით აუარესებს იჯარით გაცემულ ქონებას, რითაც ზიანი ადგება მეიჯარეს;
 - საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

6.3. „მოიჯარე“ ვალდებულია:

- ა) წინამდებარე ხელშეკრულების დანართით გათვალისწინებულ ვადებში (დაზუსტდება ხელშეკრულების გაფორმების დროს) გადაიხადოს საიჯარო ქირა და დადგენილ ვადაში წარუდგინოს მეიჯარეს საიჯარო ქირის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- ბ) ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 დღის ვადაში მოაწვოს კვების ობიექტისათვის გამოყოფილი ადგილი და დაამონტაჟოს წყლის და ელექტროენერგიის მრიცხველები;
- გ) ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 დღის ვადაში შემოიტანოს სამზარეულოსა და კვების ბლოკის ფუნქციონირებისათვის აუცილებელი ჭურჭელი და ინვენტარი;
- დ) კვების ობიექტით შედავათიანი ფასებით მოემსახუროს მომხმარებელს;
- ე) უზრუნველყოს მომსახურე პერსონალის შემოსლა უნიფორმებით-მომსახურების გაწევის პროცესში;
- ვ) გაუწიოს უმაღლესი საბჭოს თანამშრომლებს კვებითი მომსახურება (უზრუნველყოს სასადილოს ფუნქციონირება) მინიმუმ სამუშაო საათებში;
- ზ) ყოველდღიურ რაციონში იქონიოს სტანდარტული ლანჩ-მენიუს ყველა კომპონენტი: წვნიანი, ხორცეული, თევზეული, სხვადასხვა სახის ბოსტნეული/სალათები, პურ-ფუნთუშეული, საკონდიტრო ნაწარმი, რძის ნაწარმი, უაღკოპოლო სასმელები და სხვა. ასევე

გათვალისწინებული უნდა იყოს სამარხვო და დიეტური მენიუ. ლანჩ-მენიუს ღირებულება განსაზღვრულია დანართით და არ უნდა აღემატებოდეს 6-7 ლარს. დანართი თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს;

თ) არ დაუშვას ალკოჰოლური სასმელებით ვაჭრობა;

ი) გადაიხადოს კომუნალური გადასახადები;

კ) არ განახორციელოს კანონსაწინააღმდეგო ქმედებები საიჯარო ქონების მიმართ და გამოიყენოს იგი დანიშნულებისამებრ;

ლ) საიჯარო ვადის გასვლის შემდეგ იჯარით სარგებლობაში აღებული ქონება დააბრუნოს იგივე მდგომარეობაში, აუნაზღაუროს მეიჯარეს საიჯარო ქონების მდგომარეობის გაუარესებით გამოწვეული ზიანი, ამასთან, ნორმალური ცვეთა მხედველობაში არ მიიღება;

მ) შეინახოს საიჯარო ქონება სათანადო სამსახურების მიერ დადგენილ მოთხოვნათა შესაბამის მდგომარეობაში და არ შეუშალოს ხელი მათ მიერ ინსპექციის ჩატარებას;

ნ) ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ სარგებლობის უფლებით მიღებული ფართის სარგებლობის უფლება დაარეგისტრიროს საჯარო რეესტრში, ანაზღაუროს რეგისტრაციასთან დაკავშირებული ხარჯები, საჯარო რეესტრში იჯარის უფლების რეგისტრაციისათვის გახარჯულ დღეებზეც გადაიხადოს საიჯარო ქირა;

ო) უზრუნველყოს მისთვის სარგებლობაში გადაცემული ფართის ყოველდღიური დასუფთავება, სანიტარულ-ჰიგიენური, სახანძრო უსაფრთხოების, საქართველოს საგადასახადო კოდექსითა და სხვა სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული ნორმების დაცვა;

პ) მოიჯარე პასუხისმგებელია შემოტანილი პროდუქტის ხარისხზე;

ჟ) საიჯარო ქირის მატების შესახებ წერილობითი შეტყობინების მიღების დღიდან ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ ინფორმაცია ორი კვირის ვადაში წერილობით აცნობოს მოიჯარეს, ამ საფუძველით ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მოიჯარეზე არ ვრცელდება ამ ხელშეკრულების 8.4 და 8.5 პუნქტები;

რ) ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში „მეიჯარესთან“ შეთანხმების გარეშე არ გასცეს სარგებლობის უფლებით ან სხვაგვარად არ დატვირთოს მისთვის სარგებლობაში გადაცემული ქონება;

ს) იჯარით სარგებლობაში მიღებულ ქონებაზე ხელშეკრულებით გათვალისწინებულის გარდა ნებისმიერი მოქმედება შეათანხმოს მეიჯარესთან;

ტ) დაიცვას წინამდებარე ხელშეკრულების პირობები.

6.4. მოიჯარე უფლებამოსილია:

ა) არსებული ნორმების დაცვით დაამონტაჟოს ქონებაზე ყველა აუცილებელი ტექნიკური და სხვაგვარი მოწყობილობა, რაც მის საქმიანობასთან არის დაკავშირებული;

ბ) ქვეიჯარით გასცეს იჯარით აღებული ქონება წინამდებარე ხელშეკრულების მე-7 მუხლის შესაბამისად;

გ) მოითხოვოს ხელშეკრულების ვადამდე გაუქმება, თუ საიჯარო ქონება გამოუსადეგარი გახდა იმ გარემოებათა გამო, რომლისთვისაც მოიჯარეს პასუხისმგებლობა არ ეკისრება.

6.5. ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ მოიჯარეს უფლება აქვს თავის საკუთრებაში დაიტოვოს ქონების ის ნაწილი, რომლითაც მან იჯარით აღებული ქონება აღჭურვა, თუ შესაძლებელია მისი გამოცალკევება. ხოლო, თუ აღნიშნული ქონების გამოცალკევება შეუძლებელია მთლიანი ქონების ან/და მათი დანიშნულების მოსპობის გარეშე, ასეთ შემთხვევაში აღნიშნული ქონება რჩება “მეიჯარის” საკუთრებაში ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე.

6.6. წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში „მოიჯარეს“ ეძლევა წერილობითი გაფრთხილება, რომელშიც მიეთითება დარღვევის გამოსწორების ვადა და ჯარიმები:

ა) საიჯარო ქირის გადაუხდელობის შემთხვევაში – საიჯარო ქირის 0,1% დარღვევის დღიდან ყოველ გადაგადაცილებულ დღეზე;

- ბ) ხელშეკრულებით ნაკისრი სხვა ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში – საიჯარო ქირის ღირებულების 10%-ს ოდენობით;
- გ) დაკისრებული პირგასამტეხლოს თანხის გადახდა არ ათავისუფლებს მოიჯარეს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან;
- დ) მოიჯარე ვალდებულია მოახდინოს დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდა აღნიშნულის თაობაზე შეტყობინების მიღებიდან ორი კვირის ვადაში.

6.7. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის განმეორებით გამოვლენის შემთხვევა და/ან დაწესებულ ვადაში პირგასამტეხლოს გადაუხდელობა მიიჩნევა “მეიჯარის” მიერ დამატებითი გაფრთხილების გარეშე ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლის საფუძველად. ამ შემთხვევაში მოიჯარეს არ უბრუნდება გადახდილი თანხები და არ უნაზღაურდება მის მიერ გაწეული დანახარჯები.

7. საიჯარო უფლების გასხვისება, ქვეიჯარით გაცემა და დაგირავება

- 7.1. „მოიჯარეს“ უფლება აქვს ქვეიჯარით გასცეს ქონება ან მისი ნაწილი მხოლოდ „მეიჯარის“ თანხმობით წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.
- 7.2. ქონების ქვეიჯარით გადაცემისას, „მეიჯარე“ და „მოიჯარე“ ინარჩუნებენ ურთიერთნაკისრ ვალდებულებებს.

8. ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულება შეიძლება ვადამდე შეწყდეს:

- ა) მხარეთა ორმხრივი შეთანხმებით;
- ბ) მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევის შედეგად.

8.2. „მეიჯარის“ მიერ:

- ა) თუკი საიჯარო ქონების გამოყენებით ირღვევა საქართველოს კანონმდებლობა;
- ბ) ქონების აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის ჩამორთმევისას, კანონმდებლობით დადგენილი წესით, აგრეთვე, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების მიერ ისეთი საკანონმდებლო აქტის მიღების შემთხვევაში, რომელიც შეუძლებელს ხდის ქონების გამოყენებას;
- გ) „მოიჯარის“ მიერ ქირის გადაუხდელობის შემთხვევაში;
- დ) საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

8.3. „მეიჯარემ“ „მოიჯარეს“ წერილობით უნდა შეატყობინოს წინამდებარე საიჯარო ურთიერთობის ნებისმიერი დარღვევის შესახებ და განუსაზღვროს „მოიჯარეს“ შეტყობინებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღე დარღვევების გამოსწორებისათვის, საიჯარო ურთიერთობის ვადამდე შეწყვეტის განხორციელებამდე. მოიჯარის მიერ დადგენილ ვადაში დარღვევების გამოუსწორებლობის შემთხვევაში მეიჯარე უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

8.4. თუ მოიჯარე საიჯარო ურთიერთობის შეწყვეტამდე მისი ინიციატივით საიჯარო ქონებას უკან აბრუნებს, იგი საიჯარო ქირის გადახდისაგან მხოლოდ მაშინ თავისუფლდება, თუ თავის სანაცვლოდ მეიჯარეს შესთავაზებს ახალ გადახდისუნარიან და მეიჯარისათვის მისაღებ სხვა მოიჯარეს. ამასთან ახალი მოიჯარე თანახმა უნდა იყოს იჯარის ხელშეკრულება მიიღოს იმავე პირობებით.

8.5. თუ მოიჯარე მეიჯარეს ვერ შესთავაზებს წინამდებარე ხელშეკრულების 8.4. პუნქტით გათვალისწინებულ ახალ, მეიჯარისათვის მისაღებ მოიჯარეს. მან საიჯარო ქირა უნდა იხადოს წინამდებარე ხელშეკრულების 5.1. პუნქტში მითითებული ვადის დასრულებამდე.

8.6. მოიჯარის ინიციატივით ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, მოიჯარე ვალდებულია საჯარო რეესტრში, ხელშეკრულების შეწყვეტიდან ათი სამუშაო დღის ვადაში მოახდინოს იჯარის უფლების რეგისტრაციის გაუქმება.

8.7. წინამდებარე ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში მოიჯარე საიჯარო ქირას იხდის საჯარო რეესტრში იჯარის უფლების რეგისტრაციის გაუქმებამდე;

8.8. წინამდებარე ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში მოიჯარეს არ აუნაზღაურდება გადახდილი თანხები და გაწეული დანახარჯები.

9. იჯარის ვადის გასვლის შემდგომ ქონების დაბრუნების წესი

9.1. ხელშეკრულებით დადგენილი საიჯარო ვადის გასვლის ან მე-8 მუხლის შესაბამისად მისი გაუქმების შემთხვევაში საიჯარო ქონების გადაცემა – დაბრუნება მოხდება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

9.2. თუკი „მოიჯარე“ საიჯარო ურთიერთობის დამთავრების შემდგომ არ აბრუნებს იჯარით აღებულ ქონებას, მაშინ „მეიჯარეს“ შეუძლია მოითხოვოს დათქმული საიჯარო ქირის გადახდა ქონების დაბრუნების დაყოვნებისათვის, ამასთან, „მეიჯარეს“ შეუძლია მოითხოვოს სხვა სახის ზიანის ანაზღაურებაც.

მუხლი 10. ფორს-მაჟორი

10.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არადროულად შესრულების პასუხისმგებლობისაგან, თუკი აღნიშნული გამოწვეული იქნა ბუნებრივი ან ხელოვნური ხასიათის დაუძლეველი ძალის გარემოების მოქმედებით, რომელთა დადგომაც მხარეებს არ შეუძლიათ განჭვრიტონ ან/და რომელთა შედეგიც მხარეებს არ შეუძლიათ აღკვეთონ მათთვის ხელმისაწვდომი გონივრული საშუალებებით.

10.2. წინამდებარე ხელშეკრულების მიზნებისათვის, ფორს-მაჟორულ გარემოებებად ითვლება გარემოება, რომელიც სცილდება შესაბამისად „მოიჯარის“ ან „მეიჯარის“ კონტროლის ფარგლებს და რომლის დადგომა შეუძლებელს ხდის წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას. წინამდებარე ხელშეკრულებისათვის ფორს-მაჟორულ გარემოებად ასევე ჩაითვლება ომი და საომარი მოქმედებები ომის ფორმალური გამოცხადების გარეშე, აჯანყება/სამხედრო გადატრიალება ან სამოქალაქო არეულობები, ეკონომიკური ბლოკადა, მიწისძვრა, ხანძარი, აფეთქება, ქარიშხალი, წყალდიდობა ან ცუნამი და სხვა სტიქიური უბედურებები. ასევე, ფორს-მაჟორულ გარემოებად შეიძლება ჩაითვალოს სახელმწიფო მმართველობის ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ ისეთი საკანონმდებლო ან სხვა აღსასრულებლად აუცილებელი აქტების გამოცემა, რომელიც შეუძლებელს ხდის მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

10.3. მხარემ, რომელსაც შეეხო ფორს-მაჟორული გარემოება, უმოკლეს ვადაში, მაგრამ არა უმეტეს 10 (ათი) დღისა ასეთი გარემოების დადგომიდან (ან დღიდან, როცა მისთვის გახდა ცნობილი ამის შესახებ), ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ამ გარემოების შესახებ, შესაბამისი აღწერით, რაც დადასტურებული უნდა იყოს კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემული სათანადო დოკუმენტაციით. იმ შემთხვევაში, თუ ასეთი შეტყობინება არ იქნა გაგზავნილი მითითებულ ვადაში, მხარე, რომელმაც დაარღვია ვალდებულებები ფორს-მაჟორული გარემოებების გამო, არ გათავისუფლდება ვალდებულებების შესრულების პასუხისმგებლობისაგან.

10.4. მხარემ, რომელსაც შეეხო ფორს-მაჟორული გარემოება, თავისუფლდება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან იმ დრომდე (თარიღამდე), სანამ არ იქნება ლიკვიდირებული მსგავსი გარემოებების წარმოშობით მიყენებული შედეგები.

მუხლი 11. სხვა დებულებები

11.1. წინამდებარე ხელშეკრულებაში ცვლილება ან დამატება შეიძლება შეტანილ იქნას მხოლოდ მხარეთა შეთანხმებით, წერილობითი ფორმით, რომლებიც ხელმოწერილი უნდა იქნას მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ.

11.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების რომელიმე პირობა ან დებულება ჩაითვლება უკანონოდ, ხელშეკრულების ყველა დანარჩენი პირობა და დებულება ინარჩუნებს იურიდიულ ძალას.

11.3. ნებისმიერი შეტყობინება ან უწყება, რომელიც ეგზავნება ხელშეკრულების მონაწილე მხარეს, ჩაითვლება სათანადოდ გაცემულად, თუკი ისინი გაგზავნილია დაზღვეული საფოსტო გზავნილით ან ჩაბარებულია დადგენილი წესის დაცვით მხარეთა მისამართებზე. თითოეული მხარე, მისამართის ან სხვა რეკვიზიტის შეცვლის შემთხვევაში, ვალდებულია დაუყოვნებლივ გაუგზავნოს მეორე მხარეს სათანადო შეტყობინება.

11.4. ხელშეკრულება ძალაში შედის 2016 წლის 21 ივნისიდან და მოქმედებს 2017 წლის 22 ივნისამდე.

11.5. მხარეთა შორის ურთიერთობები რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად.

11.6. მხარეთა შორის, სახელშეკრულებო ურთიერთობის დროს წარმოშობილი დავა უნდა გადაწყდეს ურთიერთმოლაპარაკების გზით. შეუთანხმებლობის შემთხვევაში, სადავო საკითხი გადაწყდება საქართველოს საერთო სასამართლოში საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11.7. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, 3 თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ორი რჩება „მეიჯარესთან“, ერთი - „მოიჯარესთან“.

„მეიჯარე“

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭო

„მოიჯარე“

მისამართი: დაბა ჩაქვი, მეგენიშვილის ქ. №25

მისამართი: _____,

_____ ქ. №_____

აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის

საიდენტიფიკაციო კოდი: _____

სამინისტროს სახაზინო სამსახური

ა/ა _____

სახაზინო ანგარიშის № 62თ 7901736010100015

ბანკი: სს „_____“

საიდენტიფიკაციო კოდი: 245 425 749

ბანკის კოდი: _____

მიმღების ბანკი: სს „თიბისი ბანკი“

ბანკის კოდი: თ ჩ 22

აპარატის უფროსი რამაზ ბოლქვაძე

(ხელმოწერა)

(ხელმოწერა)